09/09/2024

MES 0 24 0001090694

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი, 26.08.2024

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 26 აგვისტოს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **ზურაბ ორჯონიკიძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
2. **დავით ლეშკაშელი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **მამუკა ხუსკივაძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
4. **მიხეილ გურგენიძე -** შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში“ ასისტენტ-პროფესორი;
5. **ლევან მიდოდაშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი;
6. **სერგო ჭელიძე -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „სეუს“ პროფესორი;
7. **ქრისტინა რზგოევა -** სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

8. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
9. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
11. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
12. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **ემილ ავდალიანი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ პროფეროსი;
14. **სალომე კუჭუხიძე** - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
15. **თამარ იოსელიანი** - შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

1. ***ივანე აბიათარი*** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და „მედიცინის სკოლის“ ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
2. ***ზაზა ავალიანი*** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
3. ***მარინე გელანტია*** - შპს „აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
4. ***ეკა ეკალაძე*** - *სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტმანეტის ასოცირებული პროფესორი;*
5. ***თამარ ვალიშვილი*** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
6. ***ხათუნა ზალდასტანიშვილი*** - *სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;*
7. ***დავით კობეშავიძე*** - შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი;
8. ***ბიძინა კულუმბეგოვი*** - ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
9. ***ლევან რატიანი*** - *სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;*
10. ***ნინო შარიქაძე*** - *შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ კლინიკური ონკოლოგიის განყოფილებისხელმძღვანელი,*

11. ***ივანე ჩხაიძე*** *- კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;*
12. ***შორენა წიკლაური*** *-* შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასისტენტ პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი.
13. ***გივი ჯავაშვილი*** *-* საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
14. **ნინო ოკრიბელაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;
15. **მაია ბიწკინაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. ***უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - ანა ჯუღელი***
2. ***უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი - ნინო შიოშვილი***
3. ***უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - ქეთევან ინანაშვილი***

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. *ჯაბა სამუშია - რექტორი*
2. *ლაშა საღინაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;*
3. *შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;*
4. *ნინო ოკრიბელაშვილი სტრატეგიული განვითარების მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარე;*
5. *თეა გერგედავა - საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი;*
6. *მერაბ ხოხობაია- სტრატეგიული განვითარების მუდმივმოქმედი საბჭოს წევრი*
7. *მაია ბიწკინაშვილი - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;*
8. *ნინო ჩიხლაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.*

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

1. *მურთაზ დევაძე - რექტორი*
2. *შოთა კაკაბაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი*
3. *ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ფოლკერ ლინეგებერი (Volker Linneweber) *(თავმჯდომარე)* ***I საკითხი***
მიჰაი ბოროში (Mihaly Boros) (თანათავმჯდომარე) ***I საკითხი***
თამთა ლეკიშვილი ***I საკითხი***
ეკატერინე ფიფია ***I საკითხი***
ირინე ფხაკაძე ***I საკითხი***
მაქსიმ იავიჩი ***I საკითხი***
თამარ თავხელიძე ***I საკითხი***

ჯინ რომ რაბე (Jean Rom Rabe) (თავმჯდომარე) **II საკითხი**
ვახტანგი ბეროშვილი **II საკითხი**
თორნიკე ხოშტარია **II საკითხი**
ია მოსაშვილი **II საკითხი**
ნინო გორგოშაძე **II საკითხი**
ქრისტინე ახალაძე **II საკითხი**
ია ბუცხრიკიძე **II საკითხი**

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის საკითხი განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის საკითხი განხილვა;

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:15

1. **სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წ ევრების მიმართ აცილება?

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა, მამუკა ხუსკივაძემ, ნინო ოკრიბელაშვილმა და მაია ბიწკინაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.

საერთაშორისო ექსპერტი, ფოლკერ ლინევიბერი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ძალიან პოზიტიური შთაბეჭდილება დატოვა იმ განვითარებამ, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი თქმით, ექსპერტებმა მიიღეს ბევრი ინფორმაცია თვითშეფასების ანგარიშიდან, რომელიც გადამოწმდა სტუდენტების შეხედულების პერსპექტივიდან საერთაშორისო კონტექსტში. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ ყველა დოკუმენტი ყოფილიყო საინტერესო როგორც საერთაშორისო სტუდენტებისათვის, ისე სამეცნიერო პერსონალისთვის. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების პერსონალური განვითარების შესწავლას. ეს არ არის მარტივად შესასრულებელი რეკომენდაცია, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულების მიზანია უზრუნველყოს პერსონალური განვითარება, მნიშვნელოვანია გარკვეული რესურსი გამოიყოს ამ პერსონალური განვითარების შესწავლაზე. თვითშეფასების დოკუმენტში მოცემული იყო სტუდენტების კითხვარზე დაფუძნებული ანგარიში. მასში მოცემული იყო ის, რომ პერსონალური განვითარება სტუდენტებისათვის არის N1 მიზანი. ამაზე მუშაობა შეიძლება მოხდეს რამდენიმენაირად, თუმცა აუცილებელია ჩატარდეს გრძელვადიანი „ლონგიტუდური კვლევა“, რომელიც ასახავს სტრატეგიულ განვითარებას. ასევე ეს საკითხი ეხება დაწესებულების პროფილს იმიტომ, რომ მისია ითვალისწინებს პერსონალურ განვითარებას. შესაბამისად, უნივერსიტეტმა ამ საკითხზე მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს. ექსპერტთა ჯგუფი ისურვებდა დაწესებულებაში ენახა უფრო ზუსტი რეაქცია იმ გარე უკუკავშირებზე, როგორიცაა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის 2022 წლის შეფასება. საერთაშორისო ექსპერტმა, მიჰაი ბოროშმა აღნიშნა, რომ ადამიანებზე კვლევა უნდა ხდებოდეს კვლევის ეთიკის დაცვით. ასევე, ძირითადი ეთიკური საკითხები უნდა რეგულირდებოდეს ცხოველთა კეთილდღეობის კომიტეტის მიერ. მსგავსი საბჭოები არსებობს უნივერსიტეტში, თუმცა აუცილებელია არსებობდეს ერთი ძირითადი ეთიკის საბჭო, რომელიც დაარეგულირებდა ყველა ისეთი კვლევის საკითხს, რომელშიც მონაწილეობენ ადამიანები. უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში მოცემული იყო ის ფაქტი, რომ არსებობდა დაწესებულებაში ეთიკური ლიცენზირება, მაგრამ მნიშვნელოვანია ამ კუთხით გაიზარდოს მეტი პასუხისმგებლობის დონე და დაიფაროს ყველა საკითხი სასწავლო პროცესში ცხოველების გამოყენებასთან დაკავშირებით. ტექნიკური უნარების ცენტრთან დაკავშირებით არსებობს დაწესებულების მხრიდან გეგმები, თუმცა ეს გეგმები არის მომავალზე ორიენტირებული. ამ ეტაპზე არ არსებობს ხელშესახები მონაცემები. უნივერსიტეტში უნდა არსებობდეს კარგად დაგეგმილი გეგმა და ამ გეგმის მიხედვით უნდა მოხდეს მუშაობა. ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა უფრო მეტად გამოკვეთოს კონკრეტული მექანიზმები იმისათვის, რომ მოიზიდოს აფილირებული აკადემიური პერსონალი. მართალია დაწესებულება მუშაობს ამ მიმართულებით, თუმცა უფრო მეტად საჭიროა კონკრეტული მექანიზმები იყოს შემუშავებული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის პროპორციის გაზრდის მიზნით. საერთაშორისო ექსპერტმა, ფოლკერ ლინევიბერმა, საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ნახა დიდი ჩართულობა მესამე მისიის კუთხით, რაც მისასალმებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ჯაბა სამუშია, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ ეთიკის საბჭოს შექმნა აუცილებელია დაწესებულებაში, რომელიც უახლოეს მომავალში შეიქმნება. როგორც ექსპერტთა ჯგუფს, ისე დაწესებულებას აწუხებს ის დისბალანსი, რომელიც არსებობს მოწვეულ პერსონალსა და აფილირებულ პერსონალს შორის. სექტემბრიდან გამოცხადდება ასისტენტ - პროფესორის პოზიციაზე 250-დან 350-მდე ვაკანტური ადგილი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, შოთა ფოთოლაშვილმა, 1.1 კომპონენტში მოცემულ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული აქვს აღნიშნული რეკომენდაცია. მისი თქმით, იდენტობისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია შეფასებითი კრიტერიუმია, რომელიც კონკრეტული საზომით უნდა მოხდეს შეფასება. ეს შეიძლება იყოს მისია, ხედვა, წესდება, მარეგულირებელი აქტები და ა.შ. ეს ყველაფერი მოთხოვნილი არის ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშითაც, რაც გაზიარებული იქნა ექსპერტებისთვის. აკადემიური საბჭოს დადგენილების მარეგულირებელ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა კონკრეტული აქტი. აკადემიური საბჭოს დადგენილებები, რექტორისა და კანცლერის ბრძანებები უნივერსიტეტში წელიწადში ათასობით გამოიცემა და ყველას თარგმნა არ ხდება. ექსპერტთა მითითებულ ბმულზე გადასვლისას დაინტერესებული მხარე ნახავს ისეთ დოკუმენტს, რომელიც თავისი შინაარსით ამტკიცებს მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რომლებიც 2018 წლიდან ვებგვერდზე ატვირთულია უცვლელად. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია უნდა იყოს არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის სახით წარმოდგენილი. 1.1 კომპონენტში მოცემულ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების მე-3 დანართი, კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტი ადგენს შემდეგ შეფასების კრიტერიუმს: „უსდ-ს მისია ითვალისწინებს უმაღლესი განათლების როლს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადებაში, ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში“. ეს შეფასების კომპონენტი პირდაპირ მიემართება უნივერსიტეტის მისიას და ამ უკანასკნელში გაცხადებულ პოლიტიკას. დანაწესის ანალიზი ცხადყოფს, რომ შეფასების კრიტერიუმი მის შინაარსს უკავშირებს ინსტიტუციის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, თავის მხრივ კი ხსენებული ცალსახად ასახულია უნივერსიტეტის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტში, კერძოდ: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იზიარებს ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრულ იდეალებს; უნივერსიტეტის ღირებულებები ეფუძნება კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებას, აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ღია, დინამიკურ და გამჭვირვალე ურთიერთობებს“. შოთა ფოთოლაშვილის თქმით, დაწესებულება მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს ამ მიმართულებით რამდენიმე ფორმით, კერძოდ, ყოველსემესტრული გამოკითხვებითა და კმაყოფილების კვლევით. ასევე დაწესებულების ბაზაზე არსებობს კარიერული განვითარებისა და უწყვეტი განათლების ორი ცენტრი, სადაც შეთავაზებული ღონისძიებების ფარგლებში ხდება უკუკავშირის შედეგების ანალიზი. გარდა ამისა, ამ მიმართულებით დაწესებულება დიდ ყურადღებას უთმობს დამსაქმებელთა კვლევას. უნივერსიტეტი დარწმუნებული არ არის იმ საკითხში თუ რამდენად უზრუნველყოფს შესაბამისი შედეგის მოცემას 26 000 სტუდენტზე შერჩევით გაკეთებული კვლევა გრძელვადიან პროცესში. 1.2. კომპონენტში მოცემულ მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ 2024 – 2030 წლების სტრატეგიაზე მუშაობა დაიწყო ივლისის თვეში. შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სტრატეგიის მიმართულებით ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის განხილვა, ანალიზი, შედეგების წარმოდგენა და ა.შ. ინტერვიუები დაიგეგმა და ჩატარდა უნივერსიტეტის მაღალ მმართველობით რგოლთან (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილე, დეკანები და ა.შ.), ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებთან, ფაკულტეტებთან, დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და სხვ. პროცესი ფუნდამენტურად ეფუძნებოდა უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტების ღრმა და სისტემურ ანალიზს. მათ შორის განხილული იქნა 2018-2024 წლების სტრატეგიის შესრულების შესაბამისი ანგარიშები და მიღწეული იმპლემენტაციის შედეგები. ასევე შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის შედეგები. გარდა ამისა, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლების კმაყოფილების კვლევა და უნივერსიტეტში სისტემური მარეგულირებელი დოკუმენტები. ეს ორი პროცესი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და ერთობლივად მიმდინარეობდა. ამის შემდეგ მოხდა SWOT ანალიზი, რომლის შედეგად გამოიკვეთა ის ოთხი ძირითადი მიმართულება, რომელიც სტრატეგიულ დაგეგმარებაში საბოლოოდ აღმოჩნდა აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული. ასვე უნივერსიტეტს ჩართული ჰყავდა გარე დაინტერესებული მხარეები შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების ნაწილში, რათა ფართო საზოგადოებას გაეცნო არსებული მიგნებები. ამის შემდგომ, კიდევ ერთხელ გაზიარებულ იქნა სტრატეგიული გეგმის შემუშავებული პროექტი, მისი გაცნობისა და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. რაც შეეხება პროცესის სისტემურობას, იგი სრულად იყო უზრუნველყოფილი ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მიდგომით, რომელიც სამი ფუნდამენტური ფაზისგან შედგებოდა: 1. სტრატეგიული დიალოგი 2. სტრატეგიული დაგეგმვა 3. სტრატეგიის აღსრულება. აღნიშნული პროცესი სტრუქტურირებული იყო ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ მიდგომით, რომელიც განხორციელდა გეგმაზე მუშაობის სხვადასხვა ფაზაში. 1.2. კომპონენტში მოცემულ მეოთხე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ მესამე მისიის ნაწილი უნივერსიტეტის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. დაწესებულებამ ექსპერტებს გაუზიარა EUA-ს შეფასება და დაწესებულების მოსაზრება ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის რეკომენდაციებზე. 2.3. კომპონენტში მოცემულ მეხუთე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ თუ შეიცვლება აღნიშნული რეკომენდაცია რჩევით, დაწესებულება მაინც უზრუნველყოფს კლინიკური კვლევის ჩატარებას ადამიანთა კვლევის ეთიკის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ საქართველოს 9 უნივერსიტეტთან, 3 სამთავრობო და 4 ევროპელ პარტნიორთან ერთად, თსუ ჩართულია პროექტში „კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა - კვლევის პატიოსნება და ეთიკა საქართველოს უნივერსიტეტებში. 2.3 კომპონენტში მოცემულ მეექვსე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას. მისი თქმით, სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა რეგულირდება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული პირობები ყველა კვლევის შემთხვევაში გათვალისწინებულია, რომლის დასადასტურებლად უნივერსიტეტმა ექსპერტებს გაუზიარეს შესაბამისი მტკიცებულებები. 4.2 კომპონენტში მოცემულ მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეალურად უნივერსიტეტის გარედან მოწვეულია 950 პირი, რაც დღევანდელი მონაცემებით პროპორციულად შეეფარდება აკადემიურ პერსონალს 1:1-ზე (730:950). მოწვევა ძირითადად ხდება კონკრეტული პროგრამის მიმართულებით უფრო ნაკლებ საათზე. მდგრადობის ნაწილში გაცილებით მეტად მაღალია აკადემიური პერსონალის წაკითხული საათების რაოდენობა, ვიდრე მოწვეულის. შესაბამისად, ამ მხრივ პრობლემა არ დგას. მისი თქმით, სექტემბერში გამოცხადდება ასისტენტის პოზიციაზე დაახლოებით 150 ვაკანტური ადგილი. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტში ამჟამად დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესორის ასისტენტის პოზიციაზე მოწვეულია 150 დოქტორანტი, რომელთა დასაქმებაც იგეგმება ასისტენტის აკადემიურ პოზიციაზე ზემოაღნიშნული კონკურსის ფარგლებში. 7.1 კომპონენტში მოცემულ მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს როგორც მოკლევადიანი, ასევე საშუალო და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები. მოკლევადიან სამოქმედო გეგმად შესაძლებელია შეფასდეს მის ყოველწლიურ ბიუჯეტზე დაყრდნობით შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომელიც გაიწერება ყველა შესაბამისი რგოლის ჩართულობითა და მოთხოვნათა გათვალისწინებით. რაც შეეხება საშუალოვადიან გეგმას, ხსენებულ ნაწილში უნივერსიტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს საორიენტაციო დოკუმენტს, ხოლო გრძელვადიან ნაწილში კი სტრატეგიული განვითარების გეგმა. 7.1 კომპონენტში მოცემულ მეცხრე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას იმ კონტექსტში, რომ უნივერსიტეტი მუდმივად უნდა ზრუნავდეს ტექნოლოგიების გაუმჯობესებაზე. ასევე ინვესტიცია უნდა განახორციელოს მიმდინარე სიმულაციური ცენტრის

გაფართოებაში.

დაწყების დრო: 14:45
დასრულების დრო: 14:56

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0

კენჭისყრისშედეგი: (მოწვეული საბჭო)
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ს**სიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ 204864548) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 28433-ით, მათ შორის:

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) - სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 1000-ით;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართულენოვანი) - სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 1000-ით;

- **საბჭოს სხდომა დატოვა გაიანე სიმონიამ**

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის საკითხი განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წ ევრების მიმართ
აცილება?

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
საერთაშორისო ექსპერტი, ჯინ რომ რაზე, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სტანდარტები ძირითადად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულების მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს. მისი თქმით, დაინტერესებული მხარეები მეტად ჩართული უნდა იყვნენ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში. ეფექტური შედეგების მიღწევის მიზნით, სტრუქტურულმა ერთეულებმა უნდა იმუშაონ უფრო მკაფიოდ და უზრუნველყონ ერთმანეთთან კოორდინაცია. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით ინფორმირებულობის გაზრდას. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა იცის, რომ ეს საკითხი ყველა დაწესებულებაში დიდი გამოწვევაა. აკადემიას ჰყავს საკმაოდ დიდი სტაფი, თუმცა მნიშვნელოვანია გაიზარდოს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის შემთხვევაში ცნობიერების დონე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ინგლისური ენის გაზრდას ტექნიკურ პროგრამებზე, როგორებიცაა საზღვაო ინჟინერია და საზღვაო ელექტრონული ინჟინერია. ინგლისური ენის დონე არ იყო იმდენად მაღალი, როგორიც უნდა იყოს. ინგლისური ენის დონე მნიშვნელოვანია სხვა უნივერსიტეტებთან როგორც კოოპერაციის, ისე გემზე ფუნქციონირების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიას აქვს კარგი ურთიერთობა კურსდამთავრებულებთან, რეკომენდებულია მეტად გაიზარდოს კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შეფასების პროცესში. მისი თქმით, ზოგიერთ პროგრამის შემთხვევაში საერთაშორისო ბაზარი არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, რეკომენდებულია საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამების განვითარებისათვის. ასევე რეკომენდებულია სწავლის შედეგების ანალიზში სტაფის მეტად ჩართვა, სტანდარტებისა და მათი შეფასების დინამიკის ცოდნა. მან აღნიშნა, რომ მისასალმებელია აკადემიაში ბევრი მოწვეული სტაფის არსებობა, თუმცა რეკომენდებულია შესწავლილი იყოს თანაფარდობა მოწვეულ და აკადემიურ

პერსონალს შორის. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებაში მოწვეული პერსონალთა დიდი რაოდენობაა, ისინი დაკავშირებული არ არიან უნივერსიტეტთან ისე, როგორც ძირითადი აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, შესაძლებელია უნივერსიტეტმა მოწვეულ პერსონალს შესთავაზოს ძირითადი აკადემიური პერსონალის ნაწილად გახდომა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს სამუშაო დატვირთვა, რადგან ძნელია როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური დატვირთვის შეთავსება. ეს პრობლემა შესაძლებელია იდგეს როგორც მოწვეული, ისე ძირითადი სტაფის მიმართ. დაწესებულებას აქვს ბევრი ძლიერი მხარე, რომელმაც შეიძლება განავითაროს კვლევითი აქტივობა, თუმცა ამ პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა ჰქონდეს კვლევითი აქტივობის შეფასების კომპეტენციაც. მისი თქმით, უსადენო (WI-FI) ინტერნეტი უნდა იყოს უზრუნველყოფილი დაწესებულებაში იმისათვის, რომ სტუდენტებმა მუდმივ რეჟიმში შეძლონ მუშაობის გაგრძელება. ასევე, ვებგვერდზე ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. გარდა ამისა, რეკომენდებულია სამეცნიერო - კვლევითი აქტივობების დაფინანსების გაძლიერება. ამრიგად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია არის კარგად ორგანიზებული დაწესებულება, რომელსაც სასწავლო პროცესში ჩართული ჰყავს ისეთი პერსონალი, რომელიც ორიენტირებულია ხარისხზე და განვითარებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორი, მურთაზ დევაძე, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ბოლო ავტორიზაციის მინიჭებიდან საზღვაო აკადემიამ განახორციელა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ, დაარსდა ახალი ფოთის ფილიალი, განაახლა არსებული და შეიმუშავა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, შეისყიდა თანამედროვე ლაბორატორიები და სასიმულაციო სივრცეები. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საზღვაო აკადემიის შემდგომ წინსვლას და განვითარებას. ნინო ყურშუბაძემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესს წინ უძღოდა სამუშო ჯგუფის შექმნა, რომელმაც გათვალისწინა წინა სტრატეგიული გეგმის დეტალური შესწავლა და თითოეული ამოცანისა და სტრატეგიული მიზნის მაჩვენებლის განხორციელება. ასევე, იმსჯელა სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და შემოწმების მონიტორინგის მეთოდოლოგიაზე და ყველა დაინტერესებული მხარის მიერ ჩართულობით შემუშავდა ახალი 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება 3 წლიანი და წლიური სამოქმედო გეგმა. აღნიშნული პროცესში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები (აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები, სტუდენტები და ა.შ). აქტიურად იყო განხილული სტრატეგიული გეგმა დამსაქმებლებთან და საბოლოოდ ჯამში გარკვეული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდა იმ ფორმით, რომელიც მოცემულია დაწესებულების ვებგვერდზე. რეკომენდაციის გათვალისწინებით უნივერსიტეტი დამატებით გეგმავს სხვადასხვა ფოკუს ჯგუფებთან სტრატეგიული გეგმის გაზიარებას და შესრულების მაჩვენებლის განსაზღვრის პროცესის დახვეწას. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საზღვაო აკადემიაში შემუშავებულია და დანერგილია საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შეფასებასა და შემოწმებას, ახალი კანონის მიღებისთანავე სამუშაო ჯგუფის შექმნას და მუშაობას რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებით მისი დისიმინაციის კონტროლს. ასევე შეუსრულებლობის შემთხვევაში მიზეზების დადგენას და ამ მიზეზებზე კოორდინირებულ მუშაობას. აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა გამოწვეული იყო 2023 წლის 4 აგვისტოს შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, რომელიც ეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტის სტატუსის შეჩერების

შემდგომ შესაბამისი უწყების ინფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეგულაცია შემოსული იყო დაწესებულებაში, ბოლომდე მაინც არ ფუნქციონირებდა, რადგან საჭირო იყო რეგულაციების, კერძოდ, შინაგანი წესის ცვლილება და ინფორმაციის მიწოდება და კონტროლი და ა.შ. ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის პროცესშივე მოხდა იდენტიფიცირება პრობლემის და ინფორმაცია გაგზავნილი იქნა შესაბამის ორგანოში. შესაბამისად, ყველა ძირითად შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში ცვლილები აისახა. შიდა აუდიტის პროცესში, რომელიც რეგულარულად ტარდება დაწესებულების სტრუქტურირებულ ერთეულებში, შესაბამისი მართვის ცენტრის პროცესების აღსრულება დამატებით იქნა გაზიარებული. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს ე.წ. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საზღვაო აკადემიაში არსებული შიდა შეფასების ხარისხის მექანიზმებს. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის რეგულაციაში და გათვალისწინებულია როგორც დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევა, სწავლის შედეგების განხილვა და დაინტერესებული მხარეების მიერ დაწესებულების საქმიანობის შეფასება. ვინაიდან ინტერვიუებზე რიგმა პერსონალმა სრული ცოდნა ვერ დაადასტურა ხარისხის მექანიზმებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტი გეგმავს მოკლე გზამკვლევების შემუშავებას, დამატებითი გაცნობითი და სამუშაო შეხვედრების ჩატარებას. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კურსდამთავრებული არის აუცილებელი მონაწილე იმ პროცესისა, რომელიც ეხება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, განვითარებასა და კურსდამთავრებულების მიერ რეკომენდაციების გათვალისწინებას. დამსაქმებლების დიდი რაოდენობა საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულია. ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით დაგეგმილია ე.წ. „Alumni club“ შექმნა, სადაც სხვადასხვა თაობის კურსდამთავრებული შეძლებს პროგრამების შეფასებას და იმ წვლილის შეტანას, რომელიც შემდგომი პროგრამების განვითარებას შეეხება. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2018 წელს დაწესებულებას რამდენიმე პროგრამა ავტორიზებულ რეჟიმში ჰქონდა, რომელთა ნაცვლად შემუშავდა და აკრედიტაცია გაიარა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამამ. ასევე განახლდა საინჟინრო ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ 2018 წლის ფარგლებში ბიზნესის და მართვის ფაკულტეტზე იყო სამი დამოუკიდებელი პროგრამა („საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკა“, „მენეჯმენტი - ნავსადგურის მენეჯმენტი“, „ტურიზმი - საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტი“), რომლის საფუძველზე შეიქმნა და აკრედიტაცია მიიღო 2018 წელს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამამ სამი კონცენტრაციით. კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში აღნიშნული პროგრამები შეტანილია აკრედიტაციაზე და უკვე მიმდინარეობს წარმოება. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია ეხებოდა ისეთ პროგრამებს, რომლებიც მილევად რეჟიმში იმყოფებიან. ყველა ახლი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შემუშავდა და აკრედიტაცია მიიღო 2019 წლიდან, სასწავლებლის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილია მათი შრომის ბაზრის ტენდენციები. ასევე ყველა პროგრამაზე არის შემუშავებული ე.წ. „Benchmarking”-ის ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ დარგიდან გამომდინარე სწავლის მიზნების შედეგების ფორმირებასა და დახვეწას, არამედ კონკრეტული სასწავლო კომპონენტების, თემატიკის, შეფასების მეთოდების შედარებას და აღნიშნული პროგრამების შემდგომ განვითარებას. მეშვიდე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ რეკომენდაციის შესაბამისად გადამოწმდა და განახლდა ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები. ხარვეზი აღმოფხვრილია და კატალოგში ასახულია "ეკონომიკის" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გადაიხედება პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის მომზადების პროცესში. სწავლის შედეგებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჯერ კიდევ 2019 წლიდან,

როდესაც შემოვიდა ახალი კვალიფიკაციების ჩარჩო, დაწესებულებამ აკადმეიურ პერსონალს სხვადასხვა ტიპის მეთოდოლოგიური შეხვედრა და ტრენინგი ჩაუტარა, კერძოდ, საკვალიფიკაციო ჩარჩოს კითხვასთან, სწავლის შედეგების ფორმირებასთან და ამ პროცესში სწავლის დონის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით უნივერსიტეტი კიდევ გააგრძელებს მუშაობას. მეოთხე სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საზღვაო აკადემიის მიერ გადაიხედა ყველა რეგულაცია, მათ შორის, სტუდენტის კონტინგენტის განსაზღვრის წესი, რომლითაც დაშვებულია ერთ აკადემიურ პირზე ორი მასწავლებლის არსებობა. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია აკადემიური პირების რაოდენობის ზრდა პროფესიული ნიშნით. მისი თქმით, აკადემიური არჩევნების პროცესის დაწყების გამოცხადებამდე განისაზღვრება ამის საჭიროება. აღნიშნული პროცესი არის ღია და გამჭვირვალე. არსებობს ბევრი მაგალითი მოწვეული პერსონალის აკადემიურად გახდომის. ეს უწყობს ხელს პროგრამების სტაბილურობას. მეექვსე სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საზღვაო აკადემიაში შემუშავებულია აკადემიური პირების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშების ფორმატი, რომელიც ითვალისწინებს ყველა მიმართულებით აკადემიური პირს მიერ განხორციელებული საქმიანობის ასახვას და მის გამჭვირვალობას შესაბამის პორტალზე. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსები დეტალურად სწავლობენ აკადემიური პირების მიერ გაწეულ კვლევით საქმიანობას და პროექტებში ჩართულობას. დაწესებულებაში შექმნილი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი დაეხმარება აკადემიურ პერსონალს მიმდინარე კვლევების მხარდაჭერასა და ხელშეწყობაში, კვლევის შედეგების შეფასების ორგანიზებასა და გავრცელებაში და ა.შ. მისი თქმით, საზღვაო აკადემიის ჟურნალში გაფართოვდა სარედაქციო კომიტეტი. მასში ჩართული არიან საზღვაო დარგის მიმართულების მოწინავე პირები, რომლებიც შეაფასებენ სხვადასხვა ტიპის ნაშრომებს. ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ 2023 წლის 15 მარტს გაიარა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის შემოწმება. ამჟამად საევაკუაციო გზებზე გამავალი ყველა კარი იღება თავისუფლად შენობიდან გასვლის მიმართულებით. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს საზღვაო აკადემიის მეორე შენობის საევაკუაციო კარზე დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზი აღმოფხვრილია. 7.3 სტანდარტში მოცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა WI-FI წვდომას უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე. მისი თქმით, შემუშავდა დეტალური სმეტა და 2025 წლის საზღვაო აკადემიის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ფინანსური რესურსი ყველა საჭირო ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისათვის. საბოლოოდ ეს პროცესი დასრულდება 2025 წლის პირველ კვარტალში. 7.4 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ საზღვაო აკადემიის ბიუჯეტი წლიდან წლამდე იზრდება, რაც ხელს უწყობს კვლევით საქმიანობისთვის გამოყოფილ რესურს, რომელიც მიმდინარე პერიოდში არის 5%, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს ეს მაჩვენებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, თამარ იოსელიანმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ გეგმავდა უნივერსიტეტი მოქმედი მეზღვაურების ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, რამდენად ხდებოდა ბაზრების დივერსიფიცირება კონტეინერმზიდ და ბალკერ გემებზე. თამარ იოსელიანმა ექსპერტებს მიმართა, რომ სტუდენტთა მიღების კონტინგენტის გაზრდასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ ავტორიზაციის საბჭოსთვის. საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ზოგიერთ პროგრამასთან მიმართებაში არის დასაქმების დაბალი მაჩვენებელი. მას აინტერესებდა, რომელ პროგრამებში იყო ასეთი შემთხვევა. საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ზურაბ ორჯონიკიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ამჟამად რამდენ საზღვაო ხომალდზე ეწევიან კურსდამთავრებულები შრომით საქმიანობას. სსიპ - სასწავლო

უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორმა, მურთაზ დევაძემ განაცხადა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ მეზღვაური სრულად ვერ დაანებებს თავს ზღვაოსნობას, დაწესებულება კურსდამთავრებულს სთავაზობს ისეთ ხელშეკრულებას, რომ ერთი სემესტრი გაჩერდეს საზღვაო აკადემიაში და ყველა აკადემიურ ორგანოში ისარგებლოს სათათბირო ხმის უფლებით და სრული მოცულობით ჩაატაროს ლექცია. ამ უკანასკნელი უფლების წარმოშობა დამოკიდებულია ცალკე ხელშეკრულებაზე, რომლითაც განისაზღვრება ხელშეკრულების ისეთი არსებითი პირობები, როგორებიცაა კურსდამთავრებულის სალექციო საათი, ვადა და და ანაზღაურება. დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წლების წინ კურსდამთავრებულების დიდი მოთხოვნა იყო თხევადი ტვირთების გადასაზიდ სატვირთო გემზე მუშაობა (ტანკერებზე), თუმცა დღეს ასეთი მოთხოვნა აღარ არის. ამჟამად დიდი მოთხოვნაა კონტეინერმზიდ, მშრალმზიდ და გაზმზიდ გემებზე მუშაობა. პრაქტიკაზე გადის 100-150 სტუდენტი, ხოლო სხვადასხვა დროშის გემზე 90%-ი კურსდამთავრებულია დასაქმებული. საერთაშორისო ექსპერტმა, ჯან რომ რაბემ განაცხადა, რომ მოქმედი მეზღვაურების ჩართვა ძალიან რთულია სასწავლო პროცესში. რეკომენდაცია გაცემული იყო იმ თვალსაზრისით, რომ მეტად გამახვილებულიყო აკადემიური პერსონალის თანაფარდობაზე ყურადღება, რადგან მოწვეული პერსონალი აღემატებოდა აკადემიურ პერსონალს. აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა არის ძალიან მნიშვნელოვანი იმ კუთხით, რომ ეს ზრდის კვლევით პოტენციალს. შესაბამისად, სამომავლო პერსპექტივაში კვლევითი პროექტების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის ზრდაზე მუშაობა. ზოგიერთ კურსზე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულები აქტიურად ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში, თუმცა დამატებით კურსზე ამის საჭიროება არ დგას. ქრისტინა რზგოევამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული აქვს 74 ქვეყანასთან. შესაბამისად, აკადემიის კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა 74 ქვეყნის დროშის ქვეშ ცურვის. ექსპერტმა ქრისტინა ახალაძემ სტუდენტების კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც პროგრამები, ისე ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ აკადემიაში გაიზარდოს სტუდენტთა მიღების კონტინგენტი.

დაწყების დრო: 16:01
დასრულების დრო: 16:13

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის საკითხი 6 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ს**სიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ 245427337) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - სასწავლო უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით, 1 წლის თავზე

ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3300-ით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 16:15 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ